

იდენტობის ფორმირება და ზრდასრულობის სუბიექტური აღქმა

¹ნინო სხირტლაძე, ²ნინო ჯავახიშვილი

¹²ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია კავშირი ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმასა და იდენტობის სხვადასხვა განზომილებას შორის. იდენტობის შესწავლა იდენტობის განვითარების განზომილებების სკალაზე მოხდა, რომელიც 25 დებულებისგან შედგება. ეს ინსტრუმენტი ბოლო წლებში შეიქმნა მარსიას იდენტობის მოდელის განვითარების პროცესში. ქართულ პოპულაციაზე გამოყენებისათვის მოხდა მისი ქვე-სკალების სანდოობის ანალიზი და მივიღეთ კრონბახის ალფას შემდეგი მაჩვენებლები: .711 -ალეტრნატივების ძიება, .701 -სიღრმისეული ძიება, .802 - გადაწყვეტილების მიღება, 0.759 გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაცია და .735 - გამუდმებული ძიება. ზრდასრულობის სუბიექტური აღქმა მნიშვნელოვნად კორელირებდა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების განზომილებასთან. ეს კავშირი არ არის მოულოდნელი, რადგან შესაბამისი ლიტერატურის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება უკავშირდება სიმწიფესა და ზრდასრულობას. ამასთან, საჭიროა დამატებითი კვლევა დანარჩენ ოთხ განზომილებასთან გამოვლენილი უმნიშვნელო კავშირის ასახსნელად.

საკვანძო სიტყვები: საწყისი ზრდასრულობა, იდენტობის ჩამოყალიბება, ზრდასრულობის სუბიექტური აღქმა

თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური პირობები ზეგავლენას ახდენს პიროვნების ფსიქო-სოციალური განვითარების თავისებურებებზე. ამერიკელი ფსიქოლოგის, ჯეფრი არნეტის მიხედვით, მოზარდობიდან ზრდასრულობის სტადიაზე გადასვლა მე-20-ე საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნეში განსაკუთრებულად გახანგრძლივებულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სწავლა, წინა პერიოდებთან შედარებით, უფრო დიდხანს გრძელდება, ოჯახი შედარებით გვიან იქმნება და მშობლის სტატუსს უფრო გვიან იღებენ, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. არნეტის მიხედვით, გაჩნდა განვითარების ახალი სტადია - საწყისი ზრდასრულობა. საწყისი ზრდასრულობა განსხვავებულია ერიკ ერიკსონის ადრეული (young) ზრდასრულობის სტადიისაგან ფსიქოლოგიური და სოციალური თავისებურებებით. ერიკსონის ადრეული ზრდასრულობის მთავარი ფსიქო-სოციალური კონფლიქტი სხვა ადამიანებთან ღრმა ურთიერთობების დამყარების უნარსა და იზოლაციას შორის არსებულ დამაბულობას შორის მდგომარეობს, ხოლო არნეტის საწყისი ზრდასრულობის ერთ-ერთ ცენტრალურ ფსიქო-სოციალურ ამოცანად იდენტობის ჩამოყალიბება რჩება, რაც ერიკსონის განვითარების თეორიაში მოზარდობისთვისაა დამახასიათებელი. საწყისი ზრდასრულობის სტადია, არნეტის მიხედვით, გაჩნდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში ინდუსტრიულ ქვეყნებში. თუ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებისა და 21 -ს დასაწყისის

რაოდენობრივ მაჩვენებლებს შევადარებთ მეოცე საუკუნის 60-იან წლებთან, აშშ-ს მაგალითზე ვნახავთ, რომ გაცილებით გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი და გაცილებით მეტია იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც განათლების მიღებას საშუალო სკოლის შემდეგაც აგრძელებს. საწყისი ზრდასრულობა ხასიათდება შემდეგი ფსიქოლოგიური თავისებურებებით: 1) ეს არის იდენტობის ძიების სტადია, პერიოდი, როდესაც პიროვნება იღებს თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ურთიერთობებისა და სამუშაოს სფეროში; ეს გადაწყვეტილებები ითვალისწინებს მის ინტერესებსა და იმ შესაძლებლობებს, რომელსაც გარემო სთავაზობს; 2) განვითარებადი ზრდასრულობის ეტაპი ხასიათდება გამოკვეთილი არასტაბილობით, რადგან საკუთარი იდენტობის ძიებაში ინდივიდები ხშირად იცვლიან პარტნიორებს, სამუშაოს, განათლების მიმართულებას; 3) ეს არის საკუთარ თავზე ფოკუსირებული სტადია, რადგან ამ ეტაპზე პიროვნებას აქვს ცოტა პასუხისმგებლობა და მეტი შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები; 4) ეს არის შუალედური სტადია, როდესაც ინდივიდი არც მოზარდია და არც ზრდასრული; 5) ეს არის შესაძლებლობების სტადია, რადგან ჯერ კიდევ არ არის მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, ცხოვრებამ შეიძლება სხვადასხვა მიმართულება შეიძინოს (Arnett 2011).

არნეტის თავდაპირველი თეორია გაჩნდა ჩრდილო ამერიკელი სტუდენტების შესწავლის ბაზაზე (Arnett 2004). შეიძლება თუ არა ამ მოდელის განხილვა, როგორც უნივერსალურის? ზოგი ავტორი მიუთითებს, რომ საწყისი ზრდასრულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კულტურულ და სოციალურ ინსტიტუციებზე და არ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსალურად (Hendry & Kloep 2010). საწყისი ზრდასრულობის კონცეფციის ავტორი ჯეფრი არნეტი საუბრობს განსხვავებებზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მსოფლიო მასშტაბით (Arnett 2011). მისი აზრით, საწყისი ზრდასრულობის სტადიის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური სტატუსი. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (მაგალითად აშშ, კანადა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია, სამხრეთ კორეა) კონტექსტი აჩენს მეტ შესაძლებლობას ამ სტადიის გავრცელებისათვის, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, კულტურული განსხვავებები ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების შიგნითაც აღინიშნება. მაგალითად, თუ ევროპაში ზრდასრულობის ერთ-ერთი ნიშანი ფინანსური დამოუკიდებლობაა, იაპონიაში ზრდასრულობის მნიშვნელოვან ინდიკატორად მშობლებზე ფინანსური ზრუნვა მიიჩნევა. განსხვავებულია სექსუალური ცხოვრებისადმი მიდგომაც; აზიურ ქვეყნებში კვლავ მიუღებელია ქორწინებამდე სექსუალური თანაცხოვრება პარტნიორთან. კულტურასთან ერთად, განვითარების თავისებურებაზე ზეგავლენას ახდენს სოციალური კლასი. მაღალი სოციალური კლასის შემთხვევაში ზრდასრული როლების მიღება ხდება უფრო გვიან, ვიდრე დაბალი სოციალური კლასის შემთხვევაში. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, დემოგრაფიული მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საწყისი მოზარდობის სტადია თანდათან უფრო გავრცელებული ხდება, ცოტაა ცნობილი იმაზე, თუ როგორ განიცდება ის ფსიქოლოგიურ დონეზე. - ეს ბოლო ფრაზა ვერ გავიგე. ისე, როგორც ვხვდებით, რაღაც მინიმალური ეკონომიკური სიმდიდრე საჭიროა, ანუ, ჯდპ არავის უხსენებია? ამ სტატისტიკაში არა.

დაოჯახების ასაკობრივ მაჩვენებლებთან ერთად უფრო აქცენტს აკეთებენ საშუალო სკოლის შემდეგ უმაღლესი განათლების გავრცელებაზე და მის სტრუქტურაზე. სტრუქტურაში იგულისხმება, მაგალითად, რამდენად შესაძლებელია რომ ამ პერიოდში ძიების პროცესში იყოს ჩართული, რამდენადაა შესაძლებელი სხვადასხვა სფერო მოსინჯოს, რამდენად დატვირთულია.

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ კითხვას, თუ რამდენადაა გავრცელებული საქართველოში საწყისი ზრდასრულობის სტადია, მნიშვნელოვანია ქვეყნის როგორც სოციო-ეკონომიკური ისე ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლა.

ქართულ კულტურაში, დასავლეთ ევროპის კულტურებისაგან განსხვავებით, მიღებულია ოჯახთან ერთად ცხოვრება და მისგან ფინანსური დახმარების მიღება. თუმცა, მკვლევრები საწყის ზრდასრულობას აფიქსირებენ ისეთ ევროპულ ქვეყნებშიც, სადაც მსგავსი ტრადიცია არსებობს, ესპანეთი, საბერძნეთი და სხვ. მაგრამ, საქართველო განსხვავდება ამ ქვეყნებისაგან ეკონომიკური სიტუაციით, კერძოდ, იმითი, რომ მშპ-ს მაჩვენებელი ნაკლებია და უმუშევრობის მაჩვენებელი მეტია, თან, ახალგაზრდას მეტი შანსი აქვს იპოვოს კარგად ანაზღაურებადი სამსახური და პირიქით, დაეხმაროს მშობლებს, რომლებსაც ან არ აქვთ სამუშაო, ან მიცრე ანაზღაურებიან სამსახურში არიან. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, არ უნდა ველოდოთ საწყისი ზრდასრულობის ეტაპს ქართველ ახალგაზრდებში.

ფსიქოლოგიური ასპექტებიდან, მთავარი მახასიათებელი, არნეტის მიხედვით, იდენტობის ძიებაა, რაც გულისხმობს რომ საბოლოო გადაწყვეტილებები ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებთან მიმართებაში ამ სტადიაზე ჯერ მიღებული არ არის.

იდენტობის თემა ფსიქოლოგიაში უპირველესად უკავშირდება ერიკ ერიქსონის შრომებს. ერიქსონი იდენტობას განიხილავს, როგორც ბიოლოგიური მოცემულობის, გამოცდილების პირადი ორგანიზაციისა და კულტურული გარემოს პროდუქტს. ინდივიდი, რომელიც ბავშვობიდან ზრდასრულობის ასაკში გადადის, ცდილობს უპასუხოთ კითხვას „ვინ ვარ მე?“. როგორც ერიკ ერიქსონი წერდა, „ადამიანური ცხოვრების სოციალურ ჯუნგლებში არ არსებობს ცოცხლად ყოფნის განცდა იდენტობის განცდის გარეშე“ (Erikson 1968). ერიქსონი იდენტობას განიხილავდა, როგორც მე-ს მუდმივობისა და იგივეობრიობის განცდას დროში. ერიქსონის შემდეგ გაჩნდა მოდელები, რომლებმაც ერიქსონის თეორიული შეხედულებები ემპირიულად შეამოწმეს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელი ეკუთვნის ჯეიმს მარსიას. მარსიას მოდელში იდენტობა განსაზღვრულია ძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ცნებებით, რომელთა ემპირიული შესწავლა შესაძლებელია. ძიება აღნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც პიროვნება შეისწავლის სხვადასხვა ალტერნატივას ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებთან მიმართებაში (საქმიანობა, ურთიერთობები, პიროვნული იდეოლოგია და ა.შ) გადაწყვეტილების მიღება აღნიშნავს არჩევანის გაკეთებას რომელიმე ალტერნატივასთან მიმართებაში (Marcia 1966). მკვლევართა ჯგუფმა ემპირიული მონაცემების საფუძველზე განავითარა მარსიას მოდელი და ძიებისა და გადაწყვეტილების პროცესებში გამოყო ქვე-კატეგორიები: ალტერნატივების ძიება

(exploration in breadth), სიღრმისეული ძიება (exploration in depth) გადაწყვეტილების მიღება (commitment making), არჩევანთან იდენტიფიკაცია (identification with commitment) და გამუდმებული ძიება (ruminative exploration). სიღრმისეული ძიება და გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაცია აღნიშნავს განზომილებებს, რომლებიც განაპირობებენ უკვე გაკეთებული არჩევანის გადახედვასა და შეფასებას. ალტერნატივების ძიება აღნიშნავს იმ მდგომარეობას, როდესაც ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებთან დაკავშირებული შესაძლებლობების ძიება ხდება. ეს გვირგვინდება არჩევანის გაკეთებით, ხოლო, თუ ვერ ხერხდება, მაშინ გვაქვს გამუდმებული ძიების მდგომარეობა. არჩევანის გაკეთება, ერთი მხრივ, გამოხატავს განხორციელებულ არჩევანს ამა თუ იმ მნიშვნელოვან ასპექტთან დაკავშირებით, მეორე მხრივ, გამოხატავს იმ ხარისხს, რომლითაც პიროვნება დარწმუნებულია ამ არჩევანში და გათავისებულებული აქვს ის (Luyckx et al 2008). სიღრმისეული ძიება ეხება უკვე გაკეთებული არჩევანის სიღრმისეულ შეფასებას იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ის ინდივიდის შინაგან სტანდარტებს. ამ ქვე-კატეგორიების სხვადასხვა კომბინაცია ე. წ. პიროვნულ პროფილს აგებს. სწორედ ამ მოდელს ვიყენებთ საწყისი იდენტობის ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკებისათვის. ჩვენი აზრით, საწყისი ზრდასრულობას ქვე-კატეგორიების გარკვეული კომბინაცია ახასიათებს.

წინამდებარე კვლევა იდენტობის ფორმირების პროცესების თავისებურებებს სწავლობს. კერძოდ, გვინტერესებს, რამდენად გამოვლინდება საწყისი ზრდასრულობა ჩვენს შერჩევაში. სავარაუდოდ, ის ნაკლებად უნდა ახასიათებდეს ქართველ ახალგაზრდებს. კომბინაცია, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, საწყისი იდენტობის სტადიას ახასიათებს, შემდეგია: მაღალი ქულა ალტერნატივების ძიებაზე, დაბალი ქულა გაკეთებულ არჩევანზე, არჩევანთან იდენტიფიკაციაზე და სიღრმისეულ ძიებაზე.

იდენტობის ფორმირების პროცესებთან ერთად ვიკვლიეთ მათი კავშირი ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმასთან. არნეტი მიუთითებს, რომ ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმას განაპირობებს ისეთი ინდივიდუალისტური კრიტერიუმები, როგორცაა პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის შინაგანი მდგომარეობა (Arnett 1998). მკვლევართა მეორე ჯგუფი აქცენტს აკეთებს დემოგრაფიულ კრიტერიუმებზე, როგორცაა სოციალური როლისა და სტატუსის ცვლილება, მაგალითად დასაქმება, ოჯახის შექმნა (Shanahan, M. et al 2003). სხვა ავტორები კი თვლიან, რომ საჭიროა დამატებითი კვლევა სოციალური და ფსიქოლოგიური თავისებურებების როლზე ზრდასრულობის სუბიექტური აღქმის ჩამოყალიბებაში (Benson & Furstenberg 2003). მკვლევართა ჯგუფმა (Galambos et al 2005) შეისწავლა კავშირი ქრონოლოგიურ ასაკსა და სუბიექტურ ასაკს შორის 17-29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. კვლევაში აგრეთვე შეისწავლეს სუბიექტური ასაკის პრედიქტორები - ფსიქო-სოციალური სიმწიფე, ზრდასრული სოციალური როლების მიღება, ფინანსური დამოკიდებულება, ეკონომიკური ფაქტორი, ალკოჰოლის გამოყენება. აღმოჩნდა, რომ სუბიექტური ასაკის ერთადერთი მნიშვნელოვანი პრედიქტორი არის ფსიქო-სოციალური სიმწიფე.

ფსიქო-სოციალური სიმწიფის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც, ვფიქრობთ, ასევე მჭიდრო კავშირშია ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმასთან, არის იდენტობის ჩამოყალიბება. როგორც ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი კვლევის (Galambos et al 2005) შედეგად გამოვლინდა, ფსიქო-სოციალური სიმწიფე არის ზრდასრულობის სუბიექტური შეფასების მნიშვნელოვანი პრედიქტორი. ვფიქრობთ, რომ იდენტობის ფორმირების პროცესები ფსიქო-სოციალური სიმწიფის მნიშვნელოვან კომპონენტად შეიძლება განვიხილოთ, რომლებშიც გამოხატულია ძიებისა და გადაწყვეტილებების მაღალი ხარისხი. კვლევას აქვს შემდეგი ჰიპოთეზები:

- გადაწყვეტილების მიღების მაღალი დონე უკავშირდება ზრდასრულობის სუბიექტური შეფასების მაღალ დონეს და პირიქით;
- სიღრმისეული ძიების მაღალი დონე უკავშირდება ზრდასრულობის სუბიექტური შეფასების მაღალ დონეს და პირიქით;
- გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაციის მაღალი დონე უკავშირდება ზრდასრულობის სუბიექტური შეფასების მაღალ დონეს და პირიქით;
- ალტერნატივების ძიების დაბალი/საშუალო დონე უკავშირდება ზრდასრულობის სუბიექტური შეფასების მაღალ დონეს და პირიქით;
- გამუდმებული ძიების მაღალი დონე უკავშირდება ზრდასრულობის სუბიექტური შეფასების დაბალ დონეს და პირიქით.

მეთოდი

მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 62 სტუდენტმა. აქედან 32 გოგონა და 30 ვაჟი. მონაწილეთა საშუალო ასაკი 22.3 (სტანდარტული გადახრა 1.7) წელია და 19-დან 26 წლამდე მონაცვლეობს. შერჩევა შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზიდან; გათვალისწინებული იყო ასაკისა და აკადემიური მოსწრების ფაქტორი.

ინსტრუმენტები და პროცედურა

იდენტობის ფორმირების განზომილებების კითხვარი (Dimensions of Identity Development Scale (DIDS), რომელიც 25 დებულებისაგან შედგება, ზომავს იდენტობის ჩამოყალიბების ხუთ პროცესს: გადაწყვეტილების მიღება („ავირჩიე ის მიმართულება, რომელსაც გავყვები ცხოვრებაში“), გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაცია („მომავლის გეგმების არსებობა უსაფრთხოების შეგრძნებას მაძლევს“), ალტერნატივების ძიება („ბევრს ვფიქრობ იმაზე, როგორი იქნება ჩემი მომავალი“), სიღრმისეული ძიება („ბევრს ვფიქრობ იმ სამომავლო გეგმებზე, რომლებისკენაც მივისწრაფვი“), და გამუდმებული ძიება („ვმფოთავ იმაზე, თუ რა მინდა გავაკეთო მომავალში“). პასუხები დებულებებზე მოცემულია ლიკერტის ტიპის სკალით და იცვლება „1“-დან („სრულიად არ ვეთანხმები“) „5“-მდე („სრულიად ვეთანხმები“) შეფასებით. შეუძლებელია რესპონდენტს მაღალი ქულა ქონდეს ერთდროულად ხუთივე განზომილებაზე. მაგალითად, თუ მას აქვს მაღალი ქულა „გადაწყვეტილების მიღებაზე“ და „გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაციაზე“, მას არ უნდა ჰქონდეს მაღალი ქულა „გამუდმებულ ძიებაზე“.

კითხვარის ორიგინალური ვერსია შეიქმნა ინგლისურ ენაზე მკვლევართა ჯგუფის მიერ (Luyckx et al 2008), ინგლისურიდან ქართულად ორმა მთარგმნელმა თარგმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ქართველ მკვლევართა ჯგუფმა საბოლოო ვერსია შექმნა არსებული თარგმანების შეჯერებითა და განხილვით.

კითხვარის ქართული ვერსიის სანდოობის დასადგენად, ის 180 ინდივიდზე ჩატარდა. თითოეული ქვე-სკალისათვის (არჩევანის გაკეთება, არჩევანთან იდენტიფიკაცია, ალტერნატივების ძიება, სიღრმისეული ძიება და გამუდმებული ძიება) კრონბახის ალფას მაჩვენებელი აღმოჩნდა, შესაბამისად: .802, 0.759, .711, .701 და .735. ლიტერატურის თანახმად, კრონბახის ალფას მაჩვენებელი .7 აჩვენებს, რომ კითხვარი სანდოა, განსაკუთრებით, თუ ქვესკალა 10-ზე ნაკლები დებულებისაგან შედგება (Pallant, 2010). იდენტობის ფორმირების განზომილებების კითხვარის თითოეული ქვესკალა 5 დებულებისაგან შედგება, შესაბამისად ეს ნიშნავს, რომ ინსტრუმენტის გამოყენება შეიძლება ქართულ პოპულაციასთან.

იდენტობის ფორმირების განზომილებების კითხვარის შევსების შემდეგ მონაწილეები პასუხობდნენ შემდეგ დებულებას: „ვთვლი, რომ მივაღწიე პიროვნულ ზრდასრულობას“. პასუხები მოცემული იყო ლიკერტის ტიპის სკალაზე და იცვლებოდა „1“ დან („სრულიად არ ვეთანხმები“) „4“ -მდე („სრულიად ვეთანხმები“) შეფასებით.

შედეგები

იდენტობის ფორმირების პროცესების მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- გადაწყვეტილების მიღება $M=4.1$ $SD=1.5$
- გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაცია $M=3.9$ $SD=0.65$
- ალტერნატივების ძიება $M=3.7$ $SD=0.82$
- სიღრმისეული ძიება $M=3.6$ $SD=0.78$
- გამუდმებული ძიება $M=3.07$ $SD=0.87$

თუ საწყისი ზრდასრულობის არნეტის ფსიქოლოგიურ აღწერას დავუბრუნდებით, განსაკუთრებულ აქცენტს ის იდენტობის ფორმირების პროცესზე აკეთებს, კერძოდ, მიუთითებს, რომ ამ სტადიაზე პიროვნება ჯერ კიდევ ძიების პროცესშია და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიღებული არ აქვს (Arnett 2012). თუ ამ ვარაუდს იდენტობის ფორმირების პროცესების კუთხით შევხედავთ, მაშინ მოსალოდნელია, რომ საწყისი ზრდასრულობა გამოხატული იყოს გადაწყვეტილების მიღებისა და გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაციის უფრო დაბალ მაჩვენებელში, ძიების პროცესებთან შედარებით. ჩვენი თავდაპირველი ვარაუდით, საწყისი ზრდასრულობის სტადია ნაკლებად უნდა იყოს გავრცელებული საქართველოში, რაც შესაბამისად, აისახება იდენტობის ფორმირების პროცესებში- კერძოდ, გადაწყვეტილების მიღებისა და გადაწყვეტილებასთან იდენტიფიკაციის მაჩვენებლები ჩვენს შერჩევაში ძიების პროცესების

საშუალო მაჩვენებლებთან შეფარებით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. როგორც შედეგებმა აჩვენა, ეს ვარაუდი დადასტურდა.

მიღებული მონაცემები იდენტობის ფორმირების პროცესებსა და ზრდასრულობის სუბიექტურ შეფასებას შორის კავშირის შესახებ სტატისტიკურად დავამუშავეთ სპირმენის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი გამოვლინდა არჩევანის გაკეთების განზომილებასა და პიროვნული ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმას შორის.

	ზრდასრულობის სუბიექტური აღქმა	გადაწყვეტილების მიღება
ზრდასრულობის სუბიექტური აღქმა	1	.251
გადაწყვეტილების მიღება	.251	1

კორელაცია მნიშვნელოვანია ალფას 0.05 დონეზე

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ აღმოჩნდა პიროვნული ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმასა და იდენტობის ფორმირების დანარჩენ განზომილებებს (არჩევანთან იდენტიფიკაცია, ალტერნატივების ძიება, სიღრმისეული ძიება, გამუდმებული ძიება).

შედეგების განხილვა

მოცემულ კვლევაში შევეცადეთ საწყისი ზრდასრულობა, როგორც განვითარების ახალი სტადია, შეგვესწავლა იდენტობის ფორმირების პროცესებისა და ზრდასრულობის სუბიექტური აღქმის ჭრილში. ვარაუდი იმის შესახებ, რომ საწყისი ზრდასრულობა ნაკლებად გავრცელებულია საქართველოში, დადასტურდა ჩვენი შერჩევის მაგალითზე, ხოლო, სამომავლო მასშტაბური კვლევა ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემის შესაძლებლობას მოგვცემს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში შემოვიფარგლეთ საწყისი ზრდასრულობის მხოლოდ ერთი ფსიქოლოგიური ასპექტის კვლევით; სრული სურათის მისაღებად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესწავლა. ზოგადად, საწყისი ზრდასრულობის, როგორც უნივერსალური განვითარების ახალი სტადიის არსებობის შესახებ, სოციალურ მეცნიერებში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ძალიან დიდია კონტექსტუალური ფაქტორების როლი, ანუკონტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები (ეკონომიკური რესურსები, განათლების მიღების შესაძლებლობები, დასაქმების შესაძლებლობები, ტრადიცია და ა.შ) მნიშვნელოვნად განაპირობებს მოზარდობის ასაკიდან ზრდასრულობაში გადასვლის თავისებურებებს. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საწყისი ზრდასრულობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არა ცალკე სტადია, არამედ გარდამავალი ეტაპი, რომლის ახსნა შესაძლებელია ეკონომიკური ბარიერების, სეკულარული საზოგადოების დესტრუქტურიზაციის და ამ ბარიერებისა და სოციალური ანომიის დაძლევის ინდივიდუალური რესურსებით (Co'te& Bynner 2008). მიუხედავად იმისა, განვითარების დამოუკიდებელ სტადიად მივიჩნევთ საწყის ზრდასრულობას, თუ მხოლოდ გარდამავალ პერიოდად მოზარდობასა და ზრდასრულობას შორის, ვფიქრობთ,

მნიშვნელოვანია საქართველოში მისი ფსიქოლოგიური და კონტექსტუალური თავისებურებების შესწავლის გაგრძელება.

გადაწყვეტილების მიღების მაღალი დონე დამახასიათებელია იდენტობის ორი სტატუსისათვის - მიღწეული იდენტობისა და ნაადრევი იდენტობისათვის. ორივე სტატუსს ახასიათებს გარკვეულობა ცხოვრების მათთვის მნიშვნელოვან ასპექტებთან მიმართებაში, თუმცა განსხვავებულია ძიების პროცესი. მიჩნეულია, რომ პიროვნული განვითარების თვალსაზრისით მიღწეული იდენტობის სტატუსი ყველაზე მეტი სიმწიფის ხარისხით ხასიათდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კვლევაში მიღებული კავშირი პიროვნული ზრდასრულობის სუბიექტურ აღქმასა და გადაწყვეტილების მიღებას შორის დამახასიათებელია სწორედ იმ ქვე-ჯგუფისათვის, რომელიც მიღწეული იდენტობის სტატუსს მიეკუთვნება. თუმცა, ამ ვარაუდის დასადასტურებლად დამატებითი კვლევა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Arnett, J. (1998) Learning to stand alone: the contemporary American transition to adulthood in cultural and historical context. *Human Development* 41: 295-315.
2. Arnett, J. (2011) Emerging Adulthood(s) The Cultural Psychology of a New Life Stage in Arnett J.A. Bridging Cultural and Developmental Approaches to Psychology. Oxford University Press
3. Arnett, J. (2012) *Human Development: A Cultural Approach*. Pearson Education, Inc
4. Co'te', J. and Bynner, J.M., (2008) Changes in the transition to adulthood in the UK and Canada: the role of structure and agency in emerging adulthood. *Journal of youth studies*, 11 (3), 251_268.
5. Erickson, E. H. (1968). *Identity: Youth and Crises*. The McCrow-Hill.
6. Galambos, N. Turner P.K.Tilton-Weaver L.C (2005) Chronological and Subjective Age in Emerging Adulthood: The Crossover Effect. *Journal of Adolescent Research*, v20 n5 p. 538-556
7. Hendry L.B., Kloep M. (2010) How Universal is Emerging Adulthood? An Empirical Example. *Journal of Youth Studies*, vol 13 No. 2
8. Luyckx K., Schwartz S.J., Berzonsky M.D., Soenens B., Vansteenkiste M., Smits I.& Goossens L. (2008). Capturing ruminative exploration: Extending the four-dimensional model of identity formation in late adolescence. *Journal of research in Personality*. 42, 58-82.
9. Marcia, J. E. (1966). Development and validation of ego identity status. *Journal of Personality and Social Psychology*, 3, 551-558.
10. Marcia J.; Kroger J. (2011). The Identity Statuses: Origins, Meanings, and Interpretations (chapter 2) in Schwartz S.J.; Luyckx K.; Vignoles V.L.;(eds) *Handbook of Identity Theory and Research*. Springer.
11. Pallant. J. *SPSS Survival Manual*.(2010). Open University Press.
12. Shanahan, M. Porfeli, E, and J. Mortimer. *Forthcoming*. Subjective Age Identity and the Transition to Adulthood: When Does One Become an Adult? (???)?. *On the Frontier of Adulthood: Theory, Research, and Public Policy*. Edited by Settersten, R. Al,
13. Jr., Furstenberg, F.F., Jr. and R. G. Rumbaut. Chicago: University of Chicago Press.